ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვს შესახებ
№EU/ADM/43

ქ. თბილისი 21 დეკემბერი 2011 წ.

ერთის მხრივ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (მისამართი: ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ. №9, საიდენტიფიკაციო კოდი 211324351, საბანკო რეკვიზიტები: ბანკი „რესპუბლიკა“ ბ/კ 220101757, ა/ა 102531545506) (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნატო ავალიანის სახით და

მეორეს მხრივ, შპს „პისიშოპ.ჯი“ (მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №18, საიდენტიფიკაციო კოდი 205198481, საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი BAGAGE22, ა/ა GE27BG0000000184252600) (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ ხორგუაშილის სახით,

“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მუხლი 10[1]-ის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1 ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „საქონლის აღწერილობა“ – საქონლის ნამონათვალი და ტექნიკური პარამეტრები, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2 ხელშეკრულების ობიექტი, კლასიფიკატორის კოდი და ღირებულება

2.1. ევროკავშირის გრანტით (№TACIS/2007/147562) დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა საერთო თანხაზე 35 975,75 (ოცდათხუთმეტი ათას ცხრაასსამოცდათხუთმეტი ლარი სა 75 თეთრი) ლარი.

2.2. ხელშეკრულების ობიექტის კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტია 30200000 (კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგი).

3 მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1. შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

3.2. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსრულებელს მოწოდებული საქონლის ღირებულება.

3.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

4 მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

4.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ასათიანის ქ. №9

4.3. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.
4.4. მოწოდებული კომპიუტერული ტექნიკა უნდა იყოს ახალი, უხმარი, ნორმალურ ფუნქციონირებად მდგომარეობაში. უნდა ახლდეს ყველა მწარმოებლის მიერ რეკომენდირებული აქსესუარი (კაბელი და სხვა) ნორმალური ფუნქციონირებისათვის საქონელს უნდა ახლდეს. კომპიუტერული მოწყობილობების მზად უნდა იყოს ხასართაველ და უნდა გააჩნდეს სათანადო ხარისხის სეთიფიკატები.
4.5. მოსაწოდებელი საქონლის ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია დანართი №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

5 ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების წესით, ეროვნულ ვალუტა - ლარში.
5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება <u>მიღება-ჩაბარების</u> აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6 ფასები

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვა განხორციელდება შემდეგ ფასად:

საქონლის დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი დღგ-ს გარეშე (ლარი)	საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე (ლარი)
კომპიუტერი	25	1096.00	27 400.00
კომპიუტერის მონიტორი	25	233.05	5 826.25
კვების ბლოკი	50	54.99	2 749.50

6.2. ხელშეკრულების ღირებულება არ ითვალისწინებს დამატებული ღირებულების გადასახადს.
6.3. შემოსავლების სამსახურის ცნობის საფუძველზე 2.1 პუნქტში მითითებული პროექტი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან ჩათვლის უფლებით.

7 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო მოუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.
7.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან 2011 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

9 ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, დაუძლეველი ძალის

ზემოქმედება და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და სამხედრო მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად და მის დასრულებისას განახორციელოს ხელშეკრულების კონტროლი, რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;

11.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების კონტროლს განახორციელებს ცენტრის ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი ნოდარ გვეტაძე.

12 დამატებითი პირობები

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

12.3. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.4. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ხოლო ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველ მხარესთან ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“	შპს “პისიშოპჯი”
გენერალური დირექტორი ნატო ავალიანი	ზურაბ სორგულაშვილი

#	საქონელი	საქონლის აღწერილობა	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ღირებულება	გარანტია
1	კომპიუტერი	Delux DLC-MV875(DLC-MV875); Intel Core i5-2400 3.1 GHz 6M Cache, # of Cores 4, LGA 1155(i5-2400 TRAY); Spire Cooler StarFlow Pro - SP559S7 Socket 1156 1155 1366(SP559S7-L); MSI H61M-P21 (B3) 1155 Socket, FSB 100MHz, DIMM Slots x 2; PCI-Ex16 x 1;(H61M-P21 (B3)); Crucial Rendition 4GB DDR3 1333, PC3-10600, CL=9, Unbuffered, NON-ECC(CT51264BA1339.M16FR); Seagate 1TB HDD 3.5" SATA 6.0Gb/s, 7200 RPM, Cache 32MB(ST31000524AS); Samsung SH-S222AB SATA DVD-RW(SH-S222AB); ZOTAC GT440 1GB DDR3, Core Clock 810MHz, Memory Clock, 128 bit(ZT-40708-10L); OCZ 600W Modular PSU ModXStream Pro Series(OCZ600MXSP-EU)	25	1096	27400	1 წელი
2	კომპიუტერის მონიტორი	Acer P226HQVbd 21.5" LCD - 21.5"w, 1920 x 1080, 5000:1, 5ms, 200cd/m2, (H/V): 90°/65°, VGA, DVI, 2Y(ET.WP6HE.037)	25	233.05	5826.25	2 წელი
3	უწყვეტი კვების წყარო	INTEX UPS 650VA Mission/Sensation IT-650S - Short circuit protection, Battery deep Discharge protections(IT-650S)	50	54.99	2749.5	1 წელი
				სულ	35,975.75	

"შემსყიდველი"
სსიპ "ლ. საყვარელიძის სახელობის
დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრი"
გენერალური დირექტორი

ნატო ავალიანი
ბ.ა.

"მიმწოდებელი"
შპს "პისიშოპ.ჯი"
დირექტორი

ზურაბ ხორგუაშვილი
ბ.ა.